ფინალური ტესტის მიმოხილვა

2026 წლის შემოდგომის სეზონი

II კლასი

ფინალური ტური · 15 ნოემბერი

შემდეგი ნაბიჯი ფინალია! გელოდებით 15 ნოემბერს. გისურვებთ წარმატებას!

ძვირფასო მშობლებო,

ამ მიმოხილვაში ნახავთ, როგორი იქნება II კლასის ფინალური ტესტი: რამდენი შეკითხვაა, როგორ ფასდება და როგორ შეკითხვებს შეხვდება მოსწავლე. ყველა სავარჯიშოს ამოხსნილი მაგალითები ახლავს.

მნიშვნელოვანია: მაგალითები ტესტიდან არ არის აღებული. ისინი მხოლოდ გიჩვენებთ, როგორი შეკითხვები იქნება ფინალში.

ტესტის სტრუქტურა

ტესტში ორი სავარჯიშო და სულ **30 შეკითხვაა**. ყველა შეკითხვას ოთხი სავარაუდო პასუხი აქვს (ა, ბ, გ, დ), სწორი კი **მხოლოდ ერთია**. სულ შეიძლება **100 ქულის** დაგროვება.

სავარჯიშო		შეკითხვა	ქულა თითოეულზე	ჯამური ქულა
I.	ნახატზე დაკვირვება	10	4	40
II.	სიტყვები, გამოთქმები და ენის წესები	20	3	60
სულ		**30**	**–**	**100**

I სავარჯიშო


I ნახატზე დაკვირვება

10 შეკითხვა · თითოეული 4 ქულა · სულ 40 ქულა

ტესტში ერთი დიდი ფერადი ნახატია. მოსწავლე აკვირდება მას და 10 შეკითხვას პასუხობს: რა ხდება ნახატზე, ვინ რას აკეთებს, რა სად არის.

რას ამოწმებს: რამდენად ყურადღებით აკვირდება მოსწავლე ნახატს.

ამოხსნილი მაგალითი · ტესტში ნახატი უფრო დიდია და მას 10 შეკითხვა ახლავს.



ვინ ზის სკამზე?

ა) ძაღლი

ბ) კატა ✓

გ) კურდღელი

დ) ზღარბი

სწორი პასუხი: ბ. ნახატზე ხის გვერდით სკამი დგას, სკამზე კი კატა ზის.

როგორი ამინდია ნახატზე?

ა) მზიანი ✓

ბ) წვიმიანი

გ) თოვლიანი

დ) ნისლიანი

სწორი პასუხი: ა. ცაზე მზე ანათებს, ამიტომ ამინდი მზიანია.

II სავარჯიშო

II სიტყვები, გამოთქმები და ენის წესები

20 შეკითხვა · თითოეული 3 ქულა · სულ 60 ქულა

აქ 20 მოკლე შეკითხვაა სიტყვებზე, ბუნებაზე, ნაცნობ გამოთქმებსა და ენის მარტივ წესებზე. ტესტში ამ სავარჯიშოს ჰქვია „ლექსიკა, ფრაზეოლოგია და გრამატიკა“.

რას ამოწმებს: იცის თუ არა მოსწავლემ სიტყვების მნიშვნელობა და ენის მარტივი წესები.

მაგალითად, ასეთი შეკითხვები:

სიტყვები „რას ნიშნავს ეს სიტყვა?“, „რა ჰქვია ამ ჯგუფს?“

ბუნება „რომელი ცხოველი ცხოვრობს ტყეში?“

გამოთქმები „რას ნიშნავს ეს გამოთქმა?“

ენის წესები „რამდენი მარცვალია სიტყვაში?“, „რომელი წინადადებაა სწორი?“

ამოხსნილი მაგალითები

ბუნება **რას გვაძლევს ძროხა?**

ა) კვერცხს | ბ) თაფლს | **გ) რძეს** ✓ | დ) მატყლს

სწორი პასუხი: გ. ძროხა რძეს გვაძლევს.

სიტყვები **რა არის წითელი, ყვითელი და ლურჯი?**

ა) რიცხვები | ბ) ცხოველები | გ) ხილი | **დ) ფერები** ✓

სწორი პასუხი: დ. წითელი, ყვითელი და ლურჯი ფერებია.

ენის წესები **რამდენი მარცვალია სიტყვაში „დედა“?**

ა) ერთი | **ბ) ორი** ✓ | გ) სამი | დ) ოთხი

სწორი პასუხი: ბ. დე-და: სიტყვა ორი მარცვლისგან შედგება.

რჩევები ფინალისთვის

მოსწავლეს

1. ჯერ კარგად დააკვირდი ნახატს, მერე წაიკითხე შეკითხვა.
2. წაიკითხე ოთხივე პასუხი და მხოლოდ მერე აირჩიე.
3. თუ შეკითხვა ძნელია, გადადი შემდეგზე და ბოლოს დაუბრუნდი.

მშობელს

- ფინალის წინა დღეს ბავშვს ახალს ნურაფერს ასწავლით. საკმარისია, ეს მაგალითები ერთად ნახოთ.
- იზრუნეთ, რომ ბავშვმა კარგად გამოიძინოს.
- უთხარით, რომ ფინალში გასვლა უკვე დიდი წარმატებაა.

მშობლიური ენის ოლიმპიადის ფინალური ტური 15 ნოემბერს გაიმართება.
გისურვებთ წარმატებას!